სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/68

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22- ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილების (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის №07-01/60 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/104 ბრძანებით), „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/105 ბრძანების, „ბსუ-სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №07-01/39 გადაწყვეტილების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 27 მარტის №01-10/37 ბრძანებით), „2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 26 მარტის №01-02/61 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 03 აპრილის №399632 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების (საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის) გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ სირაძე - ბსუ- ს რექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლევან ტარიელაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ)გოგა ბაუჟაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) გიორგი ქათამაძე - ბსუ- ს რექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) რევაზ ოკუჯავა - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზ) მირზა იაკობაძე - ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილებით (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის №07-01/60 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანებით (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/104 ბრძანებით), „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/105 ბრძანებით, „ბსუ-სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანებით (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №07-01/39 გადაწყვეტილებით (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 27 მარტის №01-10/37 ბრძანებით), „2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 26 მარტის №01-02/61 ბრძანებით.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარატამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საკონკურსო კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**